საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3340
05/05/2023

3340-21-2-202305051553

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

თქვენი 2023 წლის 2 აპრილის №06-142309257 წერილის პასუხად (რეგისტრაციით №2831; 03.04.2023), რომელიც ეხება ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე №135-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას გაცნობებთ შემდეგს:

- საჭიროა სკრინინგის განცხადებაში აისახოს ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობებისა და დროებითი დასაწყობების ობიექტის შესახებ;
- განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელებით მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებათა ემისიები. შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების თაობაზე;
- ვინაიდან, სკრინინგის განცხადების თანახმად, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელია უარყოფითი ზემოქმედება, საჭიროა სკრინინგის განცხადებაში აისახოს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებისა და ჰიდროლოგიის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო